ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 82/45

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2012 წლის 26 დეკემბერს

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") ნიშნავს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცებას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე დამკვეთ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას;

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებისთვის;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ **სსიპ „ქ.თბილისის №82 საჯარო სკოლასა"** (შემდგომში „შემსყიდველი"), რომელსაც წარმოადგენს **ამ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გოგოჩაშვილი** და მეორეს მხრივ – **აუდიტურ კომპანია „კომპაუდს"** (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის, რომელსაც წარმოადგენს მისი **დირექტორი ივანე ფანცულაია.**

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 **სსიპ „ქ.თბილისის №82 საჯარო სკოლის" მიერ წარმოდგენილი მოძრავი ქონების (საოფისე ტექნიკა და ინვენტარი) საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **150** (ასორმოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

5.1.1 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად გაწევა მიმდინარე წლის 26 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში;

5.1.2 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვა;

5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.2.1 გადასცეს „მიმწოდებელს" ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება და დაკავშირებულია აუდიტის საგანთან;

5.2.2. შეუქმნას „მიმწოდებელს" აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

5.2.3 უზრუნველყოს აუდიტური შემოწმებით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება;

5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

5.3.1 მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, აგრეთვე „შემსყიდველთან" დადებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე განსაზღვროს აუდიტის ჩატარების ფორმები და მეთოდები;